1877—1895

№ 106

ოთხშაბათი, 24 მაისი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | | თვე | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 106

ოთხშაბათი, 24 მაისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ნათესების სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების ქმართველობა მოსკოვში

(დაარსებული 1877 წელს)

ამითი უცხადებს ბბ. სოფლის მეურნეთა და პლანტატორებს, რომ მცენარეულობის დაზღვევა მიიღება ორ რიგად. 1 რიგისა არის თავთავიანი ხორბალი, ზეთოვანი, დასართავი და სხვა ამგვარი მცენარეულობა, მე-2 რიგისა: ვენახები, სვიისა, თუთუნისა, ბამბის პლანტაციები და სხვა საგანგებო კულტურის მცენარეულობა.

დაზღვევა შეიძლება 10 მაისიდგან 1 ივლისამდე ქ. ტფილისის: „Сѣверные номера“ (სევერნიე ნომერა) № 23 ყოველ-დღე, კვირა-უქმის გარდა.

სეტყვისაგან დაზღვევა შეიძლება წერილობითაც. მხოლოდ ფოსტით უნდა გამოიგზავნოს დასაზღვევი განცხადება და ყოველივე გარდასახადი.

წესდება, დაზღვევის კანონი და განცხადების ბლანკები გაეგზავნებათ და მიეცემათ პირველ მოთხოვნილებისათანავე სააგენტოებისაგან და თვით საზოგადოების განყოფილებისაგან ქ. ტფილისში.

რწმუნებული ბ. მ. ოკუდიბი.

(3—1294—3)

## კაბინეტი კბილის ექიმთა
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5-და საღამოს 4—7 საათამდე.

კვირას, 28 მაისს,
გამართული იქნება

## ლატარია-ალეგრი

გასამდიდრებლად „ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოებისა“.

ამ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე კნ. ბ. გ. ბარათაშვილისა აცხადებს რა ამას საყურადღებოდ ტფილისის საზოგადოებისა, დიდად იმედოვნებს, რომ პატივცემული საზოგადოება წელსაც, როგორც შარშან, გულ-მხურვალედ მიეგებება ამ კეთილს საქმეს და შესწირავენ ნივთებს ზემოხსენებულს დამხმარებელს საზოგადოებას ლატარია-ალეგრის გასამართავად, რომლის შემოსავალი ერთიან გადაიდება ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი მიიღება გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას, საკუთარს სახლში, რეუტოვის ქუჩაზედ და სასწავლებლის დირექტორ დრბოგლავთან, ვორონცოვის-ნაბერეჟნი ქუჩაზედ, გიმნაზიაში.

ტფილისი, 24 მაისი.

—

ბანკის კრების უკანასკნელს სხდომებს თითქმის იგივე ფერი ედო და იგივე ხასიათი ჰქონდა, როგორიც ჩვენ ვნახეთ პირველს სხდომებზედ. იგივე ცარიელ სიტყვების რახა-რუხი, იგივე სიტყვის ბანზედ აგდება, იგივე ხრიკები ვითომდა ოპპოზიციის მხრით! ყველასათვის, ვისაც სჯისა და კრიტიკის ნიჭი მოეძებნება, ცხადია, რომ ამ გუნდს არავითარი საკუთარი პროგრამა საზოგადო მოღვაწეობისა არა აქვს, რომ მას სულ სხვა დარდი ასულდგმულებს და არა საზოგადო საქმე. ხოლო სრული უძლურება ამ გუნდისა უკანასკნელმა სხდომებმა უფრო ნათლად დაამტკიცეს, უფრო გამოაშკარავეს. განა სრულს უძლურებას არ ნიშნავს, რომ ბოლო დროს სკანდალებსაც-კი მიჰმართეს, როგორც ბრძოლის იარაღს?!.

ყოველს საზოგადო საქმეში ოპპოზიცია უმცირეს ნაწილს შეადგენს, ასე რომ ფაქტიკური გამარჯვება მას ათასში ერთხელ თუ შეხვდება, ისიც ბევრია; მაგრამ სამაგიეროდ ზნეობრივი გამარჯვება უფრო ხშირად ოპპოზიციას რჩება, ოპპოზიციას ნამდვილს, საქმის ოპპოზიციას. ტფილისის ბანკის ვითომდა ოპპოზიციას-კი ბედმა არგუნა და ღირსეულადაც არგუნა მხოლოდ სამარცხვინო დამარცხება. როგორი იყო ეს დამარცხება სასამართლო საქმეების მოხსენების გამო, დივიდენდის შესახებ და წარმომადგენლობის პროექტის განხილვის გამო, ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ. უკანასკნელ სხდომებზედ კრებას წარედგინა თავ. ნ. ორბელიანის წინადადებანი. დაწვრილებით ჩვენ არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორი კამათი გამოიწვია ამ წინადადებათა განხილვამ, იმიტომ რომ, როგორც ვსთქვით, ამ კამათს იგივე ხასიათი ჰქონდა, როგორიც კრების დასაწყისში. ვიტყვი მხოლოდ, რომ საზოგადო კრება ისე მიეგება ამ წინადადებათ, რომ თავ. ნ. ორბელიანმა თვით მოითხოვა მათ შესახებ სჯის შეწყვეტა და უკანვე წაიღო თავისი წინადადებანი, გარდა ერთისა, რომელიც კრებამ შეიწყნარა მხოლოდ იმიტომ, რომ წინა წლებში თვით კრებას მოეხდინა მსგავსი დადგენილება. ყოველთვის და ყოველგან ამგვარ უაზრო და უსაგნო ოპპოზიციას ერთნაირი ისტორია აქვს. თავდაპირველად საზოგადოება ყურადღებით ისმენს ახალს მოძრაობას და ხელს უწყობს მის ზრდას, მაგრამ როგორც-კი შეამჩნევს უაზრობას და ტყუილს ყოყოჩობას, მაშინვე ზურგს შეაქცევს დასს, რომელიც საზოგადო მოთხოვნილებასა და საქმეს არ ემსახურება. როგორც მიაღწევს ამგვარი ოპპოზიცია ამ წერტილამდე და შეამჩნევს, რომ მისი არარაობა გამოაშკარავდა და საქმეც წაგებულია, ის მაშინვე ჰკარგავს ბრძოლაში საჭირო სიწყნარეს და წინ დახედულობას და ერთ სისულელეს მეორე სისულელეს უმატებს, ერთ უმართებულობისაგან მეორე უმართებულობაზედ გადადის. ეს დასის უკანასკნელი სულის კვეთებაა და მტერიც ვერ დასცემს, ვერ დასჩაგრავს ისე ნამდვილად ამ დასს, როგორც თვით ეს უძლური გაბოროტება. ამ წერტილამდე მიაღწია კიდევაც ბ. ბ. მაჩაბელთ დასმაც. როგორც-კი დაინახეს, რომ ნიადაგი ხელიდგან ეცლებათ, აებნიათ დავთარი და თავდაუჭერლად სკანდალის გზას დაადგნენ. დღე არ გადიოდა ისე, კრება არ გათავდებოდა უიმისოდ, რომ ვისმეს მათგანს რაიმე უკმაყოფილება არ გამოეწვია კრებისაგან. საბოლოოდ-კი ორი ისეთი სკანდალი მოახდინეს, რომ საზოგადოებამ ზიზღით დააჯილდოვა მათი ინიციატორები. პირველად ოპპოზიციის „enfant terrible“-მა, მ. ვ. მაჩაბელმა აიმხედრა მთელის საზოგადოების წინააღმდეგ. გაოცებულს საზოგადოებას წაუკითხეს მისი პროტესტი, რომლითაც მან გამოლანძღა როგორც ბანკის მმართველობა, ისე კრებაც თავისის თავმჯდომარით. სწორედ საზოგადოების აზრი გამოსთქვა თავ. ლევან ჯანდიერმა, როდესაც სასოწარკვეთილებით დაეკითხა დამსწრეთ: ამიხსენით, ვის-ღა ესარჩლება ბ. მაჩაბელიო, თუ გარეშემო ყველა გახრწნილი და გაფუჭებული ჰგონიაო?! რამ გამოიწვია ამგვარი უმართებულო პროტესტი ბ. მაჩაბლისა? თითონ ავტორი და მისი მომხრეები ამბობდნენ—იმ გარემოებამ, რომ ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენო. ყველასათვის ცხადია, რომ ამგვარი ახსნა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ცილის-წამებაა, მისთვის, რომ თორმეტის დღის განმავლობაში ბ-ბ. მაჩაბლების და მათის პირველ ორატორის თავ. ნიკოლოზ ორბელიანის ოდენა არავის არ ულაპარაკნია. პროტესტი ნამდვილი შედეგია სრულის უძლურებისა და იმ გარემოებისა, რომ საზოგადოებამ ნათლად დაინახა მათი არარაობა. ბ. მაჩაბელმა პრესაც გამოლანძღა თავისს ანდერძში და შემდეგაც „გაზეთჩიკობა“ უკიჟინა გა-

## ფელეტონი

—

### ღმერთმა შეგაბეროსთ!

ერთ-მოქმედებიანი კომედია-ხუმრობა

(გადმოქართულებული)

მომქმედნი პირნი:

ვახტანგ ჩიბურდანიძე—სოფლელი თავადი, ქვრივი.

ელპიტე—ვახტანგის 25 წლის ასული.

ტარიელ ხაჭაპურაძე—ჩიბურდანიძის მეზობელი, სერთუკოსანი.

მოქმედება სწარმოებს ჩიბურდანიძის სახლში. სასტუმრო ოთახი.

ვახტანგ და ტარიელ.

ტარიელ. (შემოდის შავს ფრაკში მორთული, თეთრ ხელთათმანებიანი).

ვახტანგ. (შეეგებება) ოჰ, გენაცვალოს ვახტანგი, ვის ვხედავ! ტარიელ! მიამა შენი ნახვა და მერე რა ნაირად, რომ იცოდე (უჭერს ხელს). გაგვიძვირე შენი ნახვა, აღარ გელოდი... როგორ გიკითხო, როგორ ბრძანდები?

ტარიელ. მადლობას მოგახსენებ. თქვენ როგორ-ღა ბრძანდებით?

ვახტანგ. ვართ რაღა, ისე, ერთ გვარად, ღვთისა და შენის ლოცვების წყალობით... დაბძანდი, შენი ჭირიმე, დაბძანდი... არ ვარგა, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, მეზობლების ასე დავიწყება. მაგრამ ეს რაღაა, ასე რომ მორთულხარ? ფრაკი, თეთრი ხელთათმანები, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს... ხომ არსად მიბრძანდები, ჩემო ბატონო და ბატონიშვილო?

ტარიელ. საკუთრად თქვენთან გიახელი.

ვახტანგ. მაშ ეს ფრაკი რის მაქნისია, ჩემო სულის ანდამანტო? თითქო სავიზიტოდ იყო მორთული! რა გვევიზიტება! აკაკის თქმისა არ იყოს, ნამდვილი სკვინჩაობაა, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს...

ტარიელ. აი, საქმე რაში გახლავთ (გაუშრის მკლავში ხელს). მე გიახელით, მოწყალეო ბატონო, იმისთვის, რომ მოგახსენოთ ერთი ფრიადი სათხოვარი. არა ერთხელ მოვქცეულვარ თქვენთან დახმარების სათხოვნელად და თქვენც ყოველთვის მამაშვილურად... მაგრამ, უკაცრავად, საშინლად აღელვებული ვარ. ერთი წყალს მოვსვამ, ჩემო ბატონო (სვამს წყალს).

ვახტანგ. (განზედ) სული ნუ წამიწყდება, ფულის სასესხებლად მოსულა ეს ოჯახ-ქორი! დაიქაღნოს, რაც ჩემგან წაიღოს! (ამისკენ) რაშია საქმე, ჩემო მზეთუნახავო?

ტარიელ. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მორჩილი ბატონი... უკაცრავად, მორჩილი მონა... ესე იგი... რა... რა ჰქვიან?. საშინლად აღელვებული გახლავარ, როგორც ხედავთ... ერთის სიტყვით, მარტო თქვენ შეგიძლიანთ ჩემი ხსნა და შველა, თუმცა, რასაკვირველია, არაფრით დამიმსახურებია და... და არც უნდა მქონდეს სიმართლე, რომ თქვენი შემწეობა...

ვახტანგ. აჰ, ნუღარ გააჭიანურე, თუ ძმა ხარ! თქვი ბარემც და მორჩი, შე დალოცვილო!

ტარიელ. ახლავე... ამ წუთას... ო, რა აღელვებული ვარ!.. მე გიახელით, რომ ვთხოვო თქვენს ასულს ელპიტეს, ვთხოვო, გამხადოს იმის ქმრობის ღირსი...

ვახტანგ. (სიხარულით). რაო, რაო, ჩემო გულის კუნჭულო, ჩემო ტარიელ! ერთი კიდევ თქვი, შენი ჭირიმე, კიდევ გაიმეორე, კარგად ვერ მოვკარი ყური!

ტარიელ. მინდა ვთხოვო...

ვახტანგ (გააწყვეტინებს სიტყვას). ჩემო მტრედო, ჩემო გულის კუნჭულო! ისე მოხარული ვარ, ისე, ჩემო ტარიელ... (ეხვევა და ჰკოცნის) დიდის ხნის მონატრული ვიყავ, სული ნუ წამიწყმდება! ამიხდა ნატვრა, ისე ყოველი კარგი აგიხდინოს ღმერთმა... (ჩამოჭყრის ცრემლს) ყოველთვის ისე მიმაჩნდი და მიყვარდი, როგორც ღვიძლი შვილი, ჩემო მზეთ-უნახავო, ჩემო მტრედო და გუგულო... ღმერთმა ბედნიერი ჰყოს თქვენი შეუღლება და შეგაბეროთ, ვითარცა მზე და მთვარე... მე კი, ღმერთმა ხომ იცის, ყოველთვის მაგას ვნატრობდი... მაგრამ რაღას ვდგევარ სულელივით? სიხარულმა გამომაშტერა, ისე გამოშტერებულა თქვენი მტერი და ორგული!.. ოჰ, ღმერთო ჩემო! სულით და გულით მოხარული... წავალ, ელპიტეს ვახარებ, სული ნუ წამიწყმდება...

ტარიელ. (გულ-აჩვილებული) ბატონო ვახტანგ, როგორ ჰფიქრობთ, ხომ არ დამიწუნებს? იმედია, თუ არა?

ვახტანგ. ჰერიჰაა! შენისთანა მზეთუნახავი კარზედ მიადგეს და ქალმა დაიწუნოს! რა ვიცი, მგონია, უყვარხარ კიდეც და იწვის ნაკვერჩხალივით... ახლავე... (გადის).

ტარიელ (მარტო). შემცივდა... ისე მაკანკალებს ტანში, თითქო ლათინური ეგზამენი მქონდეს დასაჭერი. თავი და თავი საქმე გაბედულებაა. თუ მოჰყევი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ფიქრს, ყოყმანს და ბევრს ლაპარაკს... ჰაი, ეს ასეო, ჰაი, ის ისეო!—თუ უცადე ნესტან-დარეჯანის გამოცხადებას და ნამდვილს სიყვარულს, შენს დღეშიაც აღარ შეგირთავს ცოლი და ის არის... ბრრ... რა მცივა, შენი ჭირიმე! ელპიტე ჩინებული ოჯახის ქალია, ნასწავლი, სახითაც არაფერი უშავს... მეტი რაღა მინდა? მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, მეტის-მეტმა აღელვებამ ყურში წივილი ამიტეხა. (სვამს წყალს) რომ არ შევირთო ცოლი, აღარ ივარგებს... ერთი, რომ აგერ, საცაა, ოც-და-თხუთმეტი შემისრულდება,—გვარიანი კოკორიაო, რომ იტყვიან, ისა ვარ რაღა. მეორეც, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემთვის საჭიროა წესიერი, დამშვიდებული ცხოვრება... გულის მანკი მჭირს, განუწყვეტელი გულის ფრიალი მაქვს ატეხილი. ძალიან ფიცხი ვარ და მეტის-მეტი აღელვება ვიცი ხოლმე... აი, ახლაც ტუჩები მიკანკალებს და მარჯვენა თვალიც მითამაშებს... მაგრამ ყველაზედ უარესი ძილის გატეხა ვიცი. როგორც-კი მივწვები და, ეს-ეს არის, უნდა ჩამეძინოს, უცებ გამკ-

ზეთების წარმომადგენელთ. ამ შემთხვევაში ანდერძის დამწერმა თავისი თავი იმ ვაჟბატონებს დაუდარა, რომელნიც, როდესაც მათს უმართებულობას გამოამჟღავნებენ გაზეთები, გაბოროტებით გაიძახიან სკვოზნიკ-დმუხანოვსკივით: „...у, щелкоперы, либералы, проклятые“..! ბ-ნი მაჩაბელი სკვოზნიკ-დმუხანოვსკივით ნამდვილად ჰხედავს თვისის სურვილისა, განზრახვისა და იმედების გაცრუებას და უძლურებისა გამო „გოროდნიჩივით“ გამწარებულია!

თუ ეს სკანდალი სამწუხაროა, მეორე ხომ შემაძრწუნებელი და საზიზღარია. ოპოზიციის ამ წლის უმთავრესმა ორატორმა, თავ. ნ. ორბელიანმა, ერთს მოწინაალმდეგეს თავ. ვლ. მიქელაძეს, იმერობა უკიჟინა; შენ სხვა ქვეყნიდგან მოსული ჩვენსავით გულ-მხურვალედ ვერ მოეკიდები ჩვენს საქმეებსაო! ეს ხომ ის ჰერკულესის სვეტებია, რომლის იქით ძველმა ქვეყანამ გზა აღარ იცოდა! ქართლ-კახეთის საზოგადოება, რომლის წარმომადგენელნი ამ კრებაზედ იყვნენ, ღირსეულად დახვდა ამ საქციელს და იმერნიც მიხვდებიან, რომ აქ ამერი საზოგადოება არაფერს შუაშია, რომ უძლურებისა გამო გამწარებული გუნდი თავისს ხელითვე ითხრის სამარეს!...

კრების დასრულებისათანავე, დასრულდა აგრეთვე ტფილისის ბანკის რევიზიაც. ამ რევიზიაზედაც დიდს იმედებს ამყარებდა მოწინაალმდეგე დასი. ახლა აღმოჩდება, როგორს უკიდურესს მდგომარეობაში არის ბანკის საქმეებიო, გაიძახოდნენ დასის ბელადები! მაგრამ ამ იმედებმაც უმტყუნეს: რევიზიამ, როგორც მკითხველმა უკვე იცის გაზეთებიდგან, აღმოაჩინა მხოლოდ წვრილმანი შეცდომები. ხოლო საზოგადოდ ბანკის მდგომარეობა ბრწყინვალედ და მკვიდრად სცნო! ამაზედ უარესი შერცხვენა ღმერთმა ჩვენს მტრებსაც ნუ არგუნოს, მკითხველო! საზოგადოდ, წრევანდელმა კრებამ დაგვანახვა, რომ ბანკის ვითომ-და ოპოზიცია უკანასკნელ სულის კვეთებაშია და რაც უფრო მალე მოისპობა ეს სამწუხარო ბრძოლა, რაც უფრო ადრე გაჰქრება მისი სახსენებელი, მით უმჯობესია. მით უმჯობესია მისთვის, რომ უაზრო ბრძოლით საზოგადო საქმე ბრკოლდება და ფუჭდება. როგორც ყოველს საზოგადო დაწესებულებას, ისე უთუოდ ჩვენს ბანკსაც ესაჭიროება ნამდვილი საქმის ოპოზიცია; როგორც ადამიანს შეეფერება, ბანკის ახლანდელ მმართველებსაც თავისი სუსტი მხარე აქვთ, ესა თუ ის შეცდომა მოუდის; ამისათვის საჭიროა საფუძვლიანი კრიტიკაც არსებობდეს. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამგვარი ოპოზიცია დაარსდეს, სანამ არ მოისპობა ახლანდელი უაზრო და უთავბოლო ბრძოლა, სანამ არ დაიმხობა ის დროშა, რომელიც საზოგადო საქმისათვის არ აღუმართავთ.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** გუშინ „გრანდ ოტელში“ თავი მოიკლა ოც-და-შვიდის წლის ყმაწვილმა კაცმა ტომით სომეხმა ლეონ ყასაბოვმა. მიზეზი თავის მოკვლისა სასამართლოში საქმის წაგება ყოფილა.

*** გუშინ-წინ, 22 მაისს, საღამოს რვის ნახევარ საათზედ საქონლისა და ხალხის მატარებლის გასვლის დროს ნავთლუღში, მე 293 ვერსზედ, 13 წლის ბავშვი პაჩატარიძე მატარებლის ქვეშ ჩავარდა. მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა და თავი დაუშავა. დაშავებული ქალაქის მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** ოცს მაისს სატყეო მმართველობათა ვიცე-პრეზიდენტი ო. ვ. მარკგრაფი ციმბირში წავიდა.

*** იმ ებრაელთა ცხრამეტს სახლობას, რომელსაც ამ ერთის კვირის წინად გამოუცხადეს, რომ დაუყოვნებლივ გასულიყვნენ ტფილისიდგან, პოლიციამ კიდევ ადროვა ერთი კვირა ტფილისში დასარჩენად.

*** სადგ. საგირი: გუშინ-წინ 22 მაისს, ტელეგრაფის კანდიდატი გერმანოზაშვილი ტბაში ბანაობის დროს დაირჩო.

*** სუხუმი: აქ ამ დღეებში ინჟენერი ჩამოვიდა და რკინის გზის გასაყვან ადგილების გამოკვლევას შეუდგა. როგორც ამბობენ, ერთი შტო რკინის გზისა კავკასიის უღელ-ტეხილზედ გადაივლის და რუსეთისკენ წავა, ხოლო მეორე—ახალ-სენაკისკენ.

*** იქიდგანვე: 12 მაისს ექვსი გლეხი ურმით მიდიოდა გზაზედ. სუხუმიდგან უკანიდგან წამოეწია ეტლი კანდელის უფროსისა. მეეტლემ უბრძანა მეურმეებს, რათა მათ ეტლისათვის გზა დაეთმოთ. რადგანაც მეურმეებმა მალე ვერ მოცალეს გზა, ხარების სიზანტის გამო, ამიტომ უფროსი დიდად განრისხდა და რევოლვერის სროლა დაუწყო მეურმეებს, და როდესაც ერთი მათგანი ურმიდგან ძირს გადმოვარდა დაჭრილი, კანდელის უფროსი სუხუმისკენ გამოეშურა და პოლიციას ასე მოახსენა „тамъ я убилъ какого-то туземца, пожолуйста, приберите“-ო. პოლიციამ ერთი დაჭრილთაგანი სუხუმში მოიყვანა. მისი მორჩენა საეჭვოა. ხოლო კანდელის უფროსი-კი თავისუფლად დაბრძანდება.

## ქალაქის საბჭო.

22 მაისი.

თავმჯდომარემ, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ა. ივანენკომ წაიკითხა მოხსენება კომისიისა ქალაქის ადგილებისა და კუკიის აგარაკის „ნაძალადევის“ შესახებ. პირველი მუხლი სასაფლაოებს შეეხება. კომისია იმ აზრისაა, რომ სასაფლაო ნავთლუღში უნდა იქმნას გადატანილიო, ჯერ-ჯერობით-კი მანდ იყოსო.

ხმ. იოანნესიანი. ჯერ-ჯერობით რადაო?

ა. ა. ივანენკო. იმიტომ რომ რკინის გზა თანახმა არ არის, ცხედრების გვამი წაასვენოს ვაგონებით. რაკი ყარსის გზას გაიყვანენ, მაშინ ესეც მოხერხდება, რადგან გზა გაფართოვდება.

ხმ. ხუდადოვი. ქალაქში წელიწადში ათასზედ 23 კაცი კვდება, სულ 650 სული, ე. ი. დღეში 2. ძნელად თუ ორის ალაგი მოგვცენ მატარებელში.

ხმ. იოანნესიანი. შევკრიბოთ ანგარიში, ან როგორც ექიმი ჰმალავთ დახოცილთა რიცხვს (სიცილი გაისმის).

ხმ. ხუდადოვი. ჰო, უკაცრავად, დღეში 7 ცხედარი მოდის.

ხმ. ენფიანჯიანცი. რკინის გზა პირობით ვალდებულია ვაგონები გვაძლიოს.

ა. ა. ივანენკო. სჯობს ეს საგანი გადავდოთ, რადგანაც ყოველი ცნობა არა გვაქვს შეკრებილი. საბჭო დასთანხმდა ამ აზრს. მერე წაიკითხეს შემდეგი მუხლი ქალაქის მიწების სრულიად გაუყიდველობის შესახებ.

ხმ. ევანგულოვი. რად ვიკრავთ აგრე ხელ ფეხს, არ მესმის.

ხმ. იოანესიანი. არც მე მესმის.

ა. ა. ივანენკო. ეგ იმიტომ არის საჭირო, რომ რაკი მცხოვრებლებს ეცოდინებათ, ქალაქი მიწებს არა ჰყიდისო, გამგეობას თავს აღარ მოაბეზრებენ და აღარც ჩვენ შევაწუხებთ საბჭოს.

გ. მ. ალიხანოვი. ვიდრე მიწები „ნაძალადევისა“ იაფია, ნუ გავყიდით, იჯარით მივცეთ. შემდეგ, როცა ქალაქი იქამდე გაიზრდება, მაშინ კარგს ფასად გავყიდით და ნაძალადეველებიკი უფრო შორს გადავასახლოთ.

ხმ. ხუდადოვი. მაშ ეგრე რაღა, როდესაც ნაძალადეველების წყალობით მიწა ფასში აიწევს, მაშინ გავრეკოთ რაღა და იმათი ნაამაგდარი მამული მდიდრებს მივცეთ? განა სამართალია ეგ?

ხმ. კერმიშევი. სჯობია ხალხისათვის ვიზრუნოთ, ღარიბებისათვის და ხანგრძლივის ვადით იჯარით მივცეთ.

ხმ. ევანგულოვი. განა იჯარას-კი ვერ ჩაიგდებენ შეძლებულნი?

ხმ. კერმიშევი. ვერ ჩაიგდებენ, რადგან იჯარის გაცემა ქალაქის ხელშია. საბჭომ ხმის უმეტესობით ის აზრი გამოსთქვა, რომ ნუ გავყიდით ქალაქის მამულებსაო. სხდომა გადაიდო.

## თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

20 მაისი.

სხდომა დაიწყო დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. აქ იყო ნახსენები სახელი „ხონელისა“, ვითომ იმას გაევრცელებინოს უმართლო ხმა თავ. ლ. ჯანდიერის შესახებ. მე ვაცხადებ, რომ ეს სრულიად უმართლოა და ვამტკიცებ, რომ შეიძლება ასეთი ხმა უცნობთაგან გავრცელდა.

თავ. ლევან ჯანდიერი. მე დღეს გავიგე, რომ ჩემს შესახებ გავრცელდა ურცხვი ცილის წამება. იგი მოჰხსენდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, როგორც მითხრეს, ვილაც ხონელისაგან. მე მივმართავ მისს თანამოკალმეებს და ვთხოვ, მათ გამოუცხადონ მას ჯეროვანი განჩინება ასეთის მოგონებისათვის; და რაიცა შემეხება თვით მე—ვაცხადებ, რომ ხონელისაგან არც შემიძლიან შეურაცხყოფილად ჩავთვალო თავი და ის ვერც მომაყენებს შეურაცხყოფას.

შემდეგ ამისა წაიკითხეს ოქმი წინა დღის კრებისა.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. შესწორება ოქმისა, რასაკვირველია, თავმჯდომარის ნებაზედ არის დამოკიდებული, მხოლოდ მე შევნიშნე უმართლობა ოქმისა და ამისათვის სიმართლეც მქონდა, რომ მე უფლება დამეტოვე თავისს დროზედ შემოვიტა-

---

რავს რაღაცა მარცხენა ფერდში, მერე მხარში მეცემა, იქიდგან გასწევს და თავში ამივარდება... წამოვხტები გიჟივით, ცოტას გავიარ-გამოვიარ და ისევ მივწვები, მაგრამ, მეტი არ იქნა თქვენი მტერი, ი რაღაც ოხერი ქვალებია, ერთ წამსაც არ მომასვენოს! რომ მგონია, ეს არის, ახლა-კი ჩამეძინა-მეთქი, გამკრავს ისევ ნემსივით! ერთი ოცჯერ მაინც მიზამს ასე ღამეში.

II

ტარიელ ხაჭაპურაძე და ელპიტე ჩიბურდანიძე.

ელპიტე. (შემოდის) აჰ, ღმერთო მომკალი! თქვენ ბრძანდებით? მამაჩემმა-კი სულ სხვა მითხრა: წადი, ვაჭარი მოგვივიდა, საქონელი უნდა გაასაღოსო. როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო ტარიელ?

ტარიელ. მადლობას მოგახსენებთ! გახლავარ, თუ თქვენი წყალობაც არ მომაკლდა.

ელპიტე. უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი, შინაურულად გახლავარ ჩაცმული: წინ-საფარიც არ გამიხდია, ისე გამოვედი... ქვიშნოს ვარჩევდი სამურაბოდ. რატომ გაგვიძვირეთ სტუმრობა? დაბრძანდით! (ჯდებიან) საუზმეს ხომ არ მიირმევთ?

ტარიელ. არა, ჩემო ბატონო, მადლობელი გახლავარ, საუზმეს აქ მოსვლამდის გიახლი.

ელპიტე. თამბაქო მოსწიეთ... აი, ცეცხლი... რა საუცხოვო დარია! მადლობა ღმერთს, თორემ გუშინ ისეთი წვიმა იყო, რომ მთელი დღე გამცდარი გვყავდა მუშები. თქვენ რამდენი მოთიბეთ, ბატონო? მე, წარმოიდგინეთ, ცოტა სიხარბე მომივიდა და მთელი მინდორი მოვათიბვინე. ახლა-კი თითონაც ვნანობ, ვაი თუ დალპეს-მეთქი: მოცდა სჯობდა. მაგრამ ეს რაა? მგონია ფრაკი ჩაგიცვამთ? უცხო ამბავია, ჩემმა მზემ! ბალში ხომ არ ემზადებით წასასვლელად! გაკეთებულხართ, გიხდებათ... არა, მართალი თქვით, ეს ფრაკი რა ამბავია, ასე რატომ მორთულხართ?

ტარიელ. (აღელვებული) უნდა მოგახსენოთ, ჩემო მოწყალეო ბატონო! საქმე იმაში გახლავთ, რომ გადავწყვიტე... გთხოვთ ცოტაოდენი მომისმინოთ... რასაკვირველია, გაგაოცებთ და შეიძლება, კიდეც შეწუხდეთ, მაგრამ მე... რა სიცივეა, დალახვროს ღმერთმა!

ელპიტე. რაშია, ბატონო, საქმე? (სიჩუმე) ბრძანეთ!

ტარიელ. ვეცდები, რაც შეიძლება, მოკლედ გამოვთქვა ჩემი სათქმელი. მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, რომ დიდი ხანია, პატარაობიდგანვე, ვიცნობ თქვენს ბედნიერს ოჯახს. ჩემი სულ-ცხონებული დედა და იმისი ქმარი, რომლებმაც, როგორც იცით, დამიტოვეს სამკვიდრო მამული, ყოველთვის დიდს პატივს სცემდა მამა თქვენს და განსვენებულ დედა-თქვენსაც. ხაჭაპურიძეების გვარი და ჩიბურდანიძეები ყოველთვის მოყვრები იყვნენ და თითქმის რომ ნათესავებადაც-კი მოხვდებოდნენ ერთმანეთს. ამასთანავე, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ჩემი და თქვენი მამულის საზღვრები ერთმანეთზეა მიკრული. თუ ინებებთ და გაიხსენებთ, ჩემი ხოსიას-ღელე ზედ აკრავს თქვენს წიფლნარს...

ელპიტე. უკაცრავად, უნდა გაგაწყვეტინოთ სიტყვა. თქვენ ბრძანებთ „ჩემი ხოსიას-ღელეო“... განა მართლაც თქვენია?

ტარიელ. ჩემი გახლავს...

ელპიტე. ვინ მოგახსენათ! ხოსიას-ღელე თქვენი-კი არა-ჩვენია!

ტარიელ. არა, ბატონო, ჩემი გახლავს.

ელპიტე. ახალი ამბავი თუ გინდა, ესაა! სადაური თქვენია?

ტარიელ. როგორ თუ სადაური? მე მოგახსენებთ იმ ხოსიას-ღელეს, რომელიც სოლითაა შესული თქვენს წიფლნარსა და ძველ ნაჯირკვევს შუა.

ელპიტე. ჰო-და, მეც მაგას მოგახსენებთ... მაგ ალაგი ჩვენია...

ტარიელ. არა, ბატონო, ცდებით, თქვენ ნუ მომიკვდე,—ხოსიას-ღელე ჩემია.

ელპიტე. რას ბრძანებთ! რას აქეთ შეიქნა თქვენი?

ტარიელ. რას აქეთაო? რაც ჩემი თავი მახსოვს, ყოველთვის ჩვენი ყოფილა.

ელპიტე. მაგის-კი რა მოგახსენოთ! დიდად უკაცრავად ბრძანდებით.

ტარიელ. ქაღალდებიდგანაც სჩანს, ჩემო ბატონო. ხოსიას-ღელე ოდესმე, მართალია, სადავო იყო, მაგრამ ახლა კი ცა და ქვეყანამ იცის, რომ ჩემი საკუთრებაა. ამას არაფერი ლარი და ხაზი არ უნდა. მოგეხსენებათ, თქვენ ხარ ჩემი ბატონი, რომ დეიდა ჩემის ბებიას გაუცია სანაშენოდ მამა თქვენის ბაბუის გლეხებზედ, რადგანაც უწვავდნენ აგურებს. მამა თქვენის ბაბუის გლეხებს უსარგებლნიათ ამ მიწით ორმოცი წელიწადი და კიდეც დაუჩემებიათ თავისად, მაგრამ მერე, როცა გამოცხადდა დებულება...

ელპიტე. სულაც არა! თქვენ სულ სხვაფერ ამბობთ. ბაბუა ჩემსაც და პაპა ჩემსაც საზღვრად ყოველთვის ძველი ნაჯირკვევი მიაჩნდათ. მაშასადამე, ხოსიას-ღელე ჩვენია. ამას რაღა დავა ეჭირვება, არ მესმის. გულზედ გაგხეთქენ, ისეთს იტყვიან ხანდახან!

ტარიელ. საბუთებს გიჩვენებთ, ბატონო, სოლომონ მეფის ბოძებულსა და შემოწმებულს.

ელპიტე. თქვენ ან ხუმრობის გუნებაზედ ბრძანდებით, ან მაჯავრებთ... სამახარობლო გერგებათ, თქვენმა მზემ! აგერ თითქმის სამასი წელიწადია, რაც მამულს ვფლობთ,—ახლა მობრძანებულხართ და გინდათ დამარწმუნოთ, ჩემიაო... ბატონო ტარიელ! ნურას უკაცრავად და ნეტამც ჩემს ყურებს არ გაეგონა... ხოსიას-ღელე-კი არ მეზოგება: ერთი ოტკაველი მიწა რა სახსენებელია! სულ რაღაც ხუთი ქცევა იქნება და, ბევრი, ბევრი, ეღიროს ოც-და ათი თუმანი, მაგრამ უსამართლობა მიკლავს გულს! რაც გინდათ, ის მითხარით, მაგრამ უსამართლობას-კა ვერ ავიტან.

ტარიელ. ერთი გამიგონეთ, თქვენი ჭირიმე! მამა თქვენის ბაბუის გლეხები, როგორც მოგახსენეთ კიდეც, დეიდა ჩემის ბებიას უწვავდნენ აგურს. დეიდა ჩემის ბებიამ ამათდა დასაკმაყოფილებლადდა სამადლოდ...

ელპიტე. ბაბუა, ბებია, დეიდა... სულ ამერია ტვინი, აღარაფერი მე-

ნო ამ გარემოების შესახებ დაწვრილებითი პროტესტი. ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მე ის დასკვნა გამოვიყვანე გუშინ, რომ ბანკის წესდებამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და ძალა და მოქმედება გამგეობისა ეწინააღმდეგება მისს ძიროვანს მნიშვნელობას. მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ გთხოვთ ამ სხდომის გათავებამდის მომცეთ ნება წავიკითხო კიდევ ორი წინანდელი ოქმი. (თავმჯდომარე ნებას აძლევს).

თავ. დავით ავალიშვილი. მეც უნდა განვაცხადო, რომ ოქმს უნდა იმ მხრივ შესწორება, რომ მე ვამტკიცებდი, რომ ყოველი საქმის წაგება, ანუ მით, რომ ბანკის წარმომადგენელი არ დაესწრო საქმეს სასამართლოში, ანუ იმავე წარმომადგენელმა დაჰკარგა ვადა საჩივრისა, უნდა მიეწეროს იმ დროს, როდესაც ბანკს ჰყავდა იურისკონსულტი; სხვა დროს მხოლოდ შეეხება ბლანშის საქმე, თუმცა აქაც ბანკმა ორასი თუმანი მოიგო და დაკარგვით-კი არა დაუკარგავს-რა.

თავ. ლევან ჯანდიერი. მე გთხოვთ, ოქმი შეასწოროთ. მე ვთქვი, რომ ეს ურცხვი ცილის წამება ჩემ შესახებ მოჰხსენდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს-თქო.

თავ. ვლადიმირ კაზნაძე. მე მინდა ვთქვა ვითომ-და „ხონელისაგან“ მოგონილის ცილის წამების შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, ხონელი მაგას არც გაავრცელებდა და არც გაუვრცელებია. ვერც ვერავინ გაავრცელებდა მაგვარს რასმე, რადგანაც თავ. ჯანდიერმა დიდი კეთილმოქმედება და კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა ხსენებულს საქმეში. ფული თ. ჯანდიერმა-კი არ წაიღო, არამედ ვიღაც აბაშიძემ, რომელსაც ზედამხედველმა კომიტეტმა გარდაუწყვიტა; მაგრამ, რადგანაც იმ დროს კომიტეტის წევრები არ იყვნენ, თავ. ჯანდიერმა, მიჰხედა-რა მთხოვნელის ცრემლებს, თავისს ჯიბიდგან მისცა მას ფული და შემდეგ ბანკიდგან აიღო სამაგიერო. აქ მხოლოდ კეთილ-შობილურის მოქმედების გარდა ვერავინ ვერას დაინახავს. „ხონელმა“ შეიძლება ვისაგანმე გაიგონა და გაიმეორა და თუ რაიმე პირ-და-პირი იჭვი არის მის შესახებ—გთხოვთ გამოიხმოთ თვით „ხონელი“ და მოუსმინოთ მას თავის გამართლება.

თავმჯდომარე. მე ძლიერ კარგად მესმის, თუ რად აღძრა თავ. ჯანდიერმა ამაზედ ბაასი; ყოველს თავ-მოყვარე კაცს ეხამუშება ამგვარი ხმები.

მიხეილ მაჩაბელი. არ ვიცი, მომეცემა თუ არა ნება ვილაპარაკო წინანდელს ოქმზედ, რადგანაც გუშინ არ მილაპარაკნია? (თავმჯდომარე ნებას არ აძლევს) მე ვილაპარაკებ იმის შესახებ, რომ ღრმა პატივისცემითა ვარ გამსჭვალული კრებისადმი და განსაკუთრებით მისის თავმჯდომარისადმი. მიუხედავად ამისა გაზეთების ანგარიშიდგან კრებამ დაინახა, რომ მე ვითომ კრებაც, თავმჯდომარეც და სხვაც შევურაცხვყავ. კრებამ დაადგინა სასტიკი განაჩენი ჩემ შესახებ, იმ კაცის შესახებ, რომელიც კრებაში არ იმყოფებოდა. ეს უკანონობაა! როდესაც კაცის მკვლელს განსასჯელად მიიყვანენ სასამართლოში, ჰკითხავენ, თუ რამ აიძულა იგი დანაშაული ჩაედინა. მოუსმენენ ყოველივეს და შემდეგ დაადგენენ განაჩენს მის შესახებ. მე რად უნდა ვიყო მოკლებული ამ წესსა და საშუალებას? თუმცა მე ბრალდებული არა ვარ, მოვიქცევი თქვენდამი მხოლოდ მისათვის, რომ თქვენა ხართ სამართლიანობის გამომსახველნი. ჩემს პროტესტში მე ვერა ვიპოვე რა ისეთი, რამაც დამისაბუთოს რომ ზრდილობის საზღვრებს გადავმცდარიყო. (შემდეგ მიხეილ მაჩაბელმა ვრცლად დაიწყო სხვა-და-სხვა გვარად დამტკიცება მისი, რომ მას არც თავმჯდომარე, არც კრება არ შეურაცხუყვია და რომ ხსენებული პროტესტი დაეწერა, იძულებული იყო ერთი რაღაც გარემოებით. შემდეგ განაგრძო): მე არ შევურაცხვყავ პრესსა, არამედ „გაზეთჩიკები“, რომელთაც შეუძლიანთ მიიქცნენ სასამართლოში და პასუხი მომთხოვონ, იქ მე იმათ ყოველივეს დავუმტკიცებ; დავუმტკიცებ—მქონდა, თუ არა უფლება მათ შესახებ ასე მოვქცეულიყავი. ისინი სცვლიან და ამახინჯებენ გარემოებათ, რომ გაზეთებს მეტი ხელის-მომწერლები შესძინონ (?!!). თუ კრება მაპატიებს, ვითხოვ ამოიშალოს ოქმიდგან ყოველივე ის, რაც უმართლოდ გზას უბნევს ჩვენს კრებას. მე მივიქცევი თავმჯდომარისადმი და მას ვთხოვ გამოსთქვას თვისი აზრი, თუ მე კრება და თავმჯდომარე ჩემის პროტესტით შევურაცხვყავ. (ხალხში ისმის შიშინი და დრტვინვა).

თავმჯდომარე. ბ-ნო მიხ. მაჩაბელო! მე იძულებული ვარ წინაშე კრებისა გამოვსთქვა, რომ თქვენ შეურაცხჰყავით კრებაც, მისი თავმჯდომარეც, გამგეობაც, ზედამხედველი კომიტეტიცა და პრესსაც!

(სხვა-და-სხვა პირები თხოულობენ სიტყვის ნებას, მაგრამ თავმჯდომარე ამ ნებას არავის არ აძლევს და აცხადებს, რომ მთელმა კრებამაც რომ მთხოვოს სიტყვის ნება, მაინც არავის აღარ მივცემ ამ საგნის შესახებ ლაპარაკისა და სჯის ნებასაო).

თავმჯდომარე. ჩემ მოვალეობადა ვრაცხ მოვახსენო კრებას შედეგი სამინისტრო რევიზიისა (აქ თავმჯდომარემ კრებას წაუკითხა სიტყვები რევიზორისა ამ საგნის შესახებ, რომელიც უკვე გვქონდა დასტამბული, შემდეგ გახარებულმა კრებამ ტაშისცემით გარდაუხადა მადლობა გამგეობას. გამგეობა კრებას მადლობას უხდის).

მიხეილ მაჩაბელი. ტყუილად ნუ გვიკრავს გამგეობა თავს! თუ ჩვენის ბანკის საქმე კარგად მიდის და არავითარი შიში არ მოელის მისს კეთილ-დღეობას, მადლიერი ჩვენ უნდა ვიყოთ ბანკის წევრებისა და არა გამგეობისა.

თავ. ილია ჭავჭავაძე. მადლი გარდვუხადეთ მთელს კრებას; მადლიერი დარჩა რევიზორი ჩვენიცა და მთელის წევრებისაც, რომელთაც ხელი-ხელ ჩაკიდებულთ ბანკის საქმე მშვენივრად მიჰყავთ. ასე რომ ნუ ეხარბება ბ-ნს მ. მაჩაბელს: მადლობა მაგასაც ერგება, როგორც ერთს წევრს კრებისას.

თავ. ვლადიმირ კაზნაძე. კრებამ მადლობა გარდაუხადა მთელს გამგეობას და არა მარტო თავ. ჭავჭავაძეს და ის თავს რად გვიკრავს მარტო?

თავ. ილია ჭავჭავაძე. მადლობა მიიღო მთელმა გამგეობამ და მე, როგორც თავმჯდომარემ გამგეობისამ, ყველას მაგიერ მადლი მოგახსენეთ. მგონი აქ დანაშაული არაარის-რა?

გენერალ-ლეიტენანტი თავ. ივანე ამილახვარი. ნება მიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო თავ. ილია ჭავჭავაძეს იმ დაუღალავისა და ერთგულის სამსახურისათვის, რაც მან დღეს ჩვენს წარმატებულს ბანკს ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში გაუწია. (კრებამ დიდის აღტაცებით მიიღო ეს წინადადება).

შემდეგ დაიწყო კენჭის ყრა.

(არჩევნების შედეგი უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა).

არჩევნების შემდეგ თავ. დავით ავალიშვილმა მადლობა გამოუცხადა კრებას და აღუთქვა იმგვარისავე სიყვარულით და გულდადებით სამსახური, როგორც აქამდის ემსახურებოდა. შემდეგ თავ. ავალიშვილმა გაახსენა კრებას სამწუხარო შემთხვევა 17 მაისის სხდომისა და სთქვა, რომ მას თვისის სიტყვებით არავის შეურაცხყოფა არ ჰსურდა და თუ ვინმემ სხვანაირად გაიგო ის სიტყვები, ის სწუხს და ბოდიშს ითხოვს.

თავ. ვლადიმირ კაზნაძე. თავ. ავალიშვილის ახლანდელი სიტყვა საგანგებო გარემოებამ გამოიწვია. მე კმაყოფილი ვარ და ჩემ მხრივაც ვაცხადებ მწუხარებას უსიამოვნო შემთხვევის გამო.

თავ. ილია ჭავჭავაძის საყურადღებო სიტყვას ცალკე ვბეჭდავთ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. თავ. ჭავჭავაძემ ახსენა აქ მამა ჩემი. მე არ ვუხსენებივარ, თუმც მე მეხებოდა. მე არ მითქვამს, რომ თავ. მიქელაძეს არა აქვს ლაპარაკის ნება; მე ვთქვი მხოლოდ, რომ მას არ შეუძლიან ისე მხურვალედ მოეკიდოს ჩვენს, ტფილისელ ქართველთა ინტერესს (საზოგადოება უსტვენს), როგორც ჩვენ. ამბობენ, ქართველი არა ვარ და ღალატობასაც მწამებენ. ეს სიცრუე არის! ვინც ამის თქმას გაჰბედავს, მას ვეტყვი—სტყუი და ღირსეულს პასუხს ვუგებ! მე თავ. მიქელაძისათვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და თუ ის შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, თითონ აგოს პასუხი, რად ამოეფარა თავ. ჭავჭავაძეს?! მე ახალი კაცი ვარ საზოგადო ასპარეზზედ, არც ერთს პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ მტერი ვარ იმისი, ვისაც ვთვლი საზოგადოების გამხრწნელად! მე-კი არ ვიწვევ შფოთსა და განხეთქილებას, არამედ თავ. ილია ჭავჭავაძე (საზოგადოება სტვენს და ხმაურობს)! მე ამის საბუთი აგერ მაქვს (ჯიბეზედ უჩვენებს) და საგანგებო კრებას წარმოვუდგენ; თუ ვერ დავამტკიცებ ჩემს აზრს თავ. ჭავჭავაძის შესახებ, თქვენის საზოგადოებიდგან გამორიცხულად ჩამთვალეთ! (სტვენა და ხმაურობა, ალაგ-ალაგ ტაშის ცემა).

უკანასკნელი სხდომა წლევანდელის კრებისა ნაშუადღევის $3^{1}/_{2}$ საათზედ დასრულდა.

## სიტყვა თავ. ილია ჭავჭავაძისა.

მე, ბატონებო, გუშინ და გუშინ-წინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდგან და კრების ოქმიდგან შევიტყე, რომ გუშინ-წინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი

---

ყურება! ხოსიას-ღელე ჩვენია,—მორჩა და გათავდა!

ტარიელ. ჩემია, ბატონო.

ელპიტე. ჩვენია! თუნდ ორ დღესაც მიმტკიცოთ, თუთხმეტი ფრაკიც რომ ჩაიცვათ, მაინც ჩვენია, ჩვენი, ჩვენი... თქვენი არა მსურს-რა, მაგრამ ჩემსაც არავის გავატან... თქვენი ნებაა!

ტარიელ. ჩემთვის, ბატონო, მაინცა-და-მაინც არაფერი საჭიროა ხოსიას-ღელე, მაგრამ, კაცმა მართალი უნდა სთქვას. თუ გნებავთ, ბატონი ბრძანდებით, მიირთვით, მიჩუქებია...

ელპიტე. რას ჰქვიან, მიჩუქებია! თითონ შემიძლიან გაჩუქოთ, რაკი ჩემია... ახირებულია, ჩემმა მზემ! აქამდის კაი მეზობლად მიგვაჩნდით, მეგობრად. შარშან საწნახელიც-კი გათხოვეთ და მაგის წყალობით თითონ მოვცდით ისე, რომ ღვინობისთვეში ძლივს მოვათავეთ საქმე. თქვენ-კი ისე გვექცევით, როგორც გლახაკებს. ჩემს საკუთრებას მევე მიძღვნით საჩუქრად. არ გეკადრებათ! ვერაფერი შვილი მეზობლობაა! თუ მკითხავთ, ჩემის აზრით, ეს თავის აგდებაა...

ტარიელ. მაშ, თქვენის ფიქრით, გამოდის, რომ სხვისის მიწების დამჩემებელი ვყოფილვარ. იცოდეთ, რომ ჩემს დღეში სხვისი არაფერი მიმისაკუთრებია და არც არავის მივცემ ნებას, რომ მაგისთანა ბრალი დამდოს. (საჩქაროდ მიდის გრაფინთან და სვამს წყალს). ხოსიას-ღელე ჩემი გახლავს!

ელპიტე. სულაც არა, ჩვენია!

ტარიელ. ჩემია-მეთქი.

ელპიტე. სულაც არა! დაგიმტკიცებთ, თუ ქალი ვარ! დღესვე გავგზავნი მთიბავებს.

ტარიელ. რაო?

ელპიტე. დღესვე გიახლებიან-მეთქი იქ ჩვენი მთიბავები.

ტარიელ. მიბძანდნენ! გაჩვენებთ იმათ სეირს!

ელპიტე. ვერც შეჰბედავთ!

ტარიელი. (იტაცებს გულზედ ხელს) ხოსიას-ღელე ჩემია! ჩემია, გესმისთ?

ელპიტე. ნუ ჰყვირით, თუ ღმერთი გწამსთ! ყვირილი თუ გსურთ, სახლში მიბრძანდით: იქ თუნდ სულაც შემოაკვდით თავის გულს, აქ-კი წრეს არ გადახვიდეთ!

ტარიელ. ეს საშინელი და აუტანელი გულის ფრიალი რომ არ მიშლიდეს და საფეთქლის ძარღვებს რომ არ გაჰქონდეს ძიგძიგი, მე ვიცი რასაც მოგახსენებდით! (ჰყვირის) ხოსიას-ღელე ჩემია, ჩემი.

ელპიტე. ჩვენია!

ტარიელი. ჩემია!

ელპიტე. ჩვენია!

ტარიელი. ჩემია!

### III

ხაჭაპურიძე, ელპიტე და ჩიბურდანიძე.

ვახტანგ (შემოდის). რა ამბავია, რა გაყვირებსთ?

ელპიტე. მამა ჩემო, აუხსენი, შენი ჭირიმე, ამ ვაჟბატონს, ვისია ხოსიას-ღელე,—ჩვენია, თუ მაგისი.

ვახტანგ (ტარიელს). ხოსიას-ღელე ჩვენია, ჩემო თვალის ჩინო!

ტარიელ. რა ბრძანებაა, თქვენი ჭირიმე, საიდგანაა თქვენი? თქვენ მაინც ნუღარ აიჩემებთ ამ ახირებულ აზრს! დეიდა ჩემის ბებიამ გასცა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ხოსიას-ღელე სალაღოდ ბაბუა თქვენის გლეხებზედ. გლეხებმა ისარგებლეს ორმოცი წელიწადი და შეეჩვივნენ, როგორც საკუთრებას, მაგრამ, რა კი მოვიდა დებულება...

ვახტანგ. არა, მომითმინე, შენი ჭირიმე... თქვენ გავიწყდებათ, რომ გლეხებს არც ლალა უძლევიათ ბებია თქვენისათვის, არც არაფერი, რადგანაც ხოსიას-ღელე იქიდგან დამოკიდებული მუდამ სადავო იყო. ხოლო ახლა უკანასკნელმა მურა ძაღლმაც კი იცის, რომ ის ადგილი ჩვენია. გეტყობათ, პლანი არ გინახავსთ!

ტარიელი. მე დაგიმტკიცებთ, რომ ის ადგილი ჩემია!

ვახტანგ. ვერა, მაგას ვერ დაამტკიცებთ, ჩემო თვალის სინათლევ!

ტარიელ. დაგიმტკიცებთ-მეთქი, ბატონო!

ვახტანგ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს ყვირილი რაღაა? რომ იყვიროთ, მაგით რა დამტკიცდება? თქვენი ღმერთმა ნუ შემარჩინოს, მაგრამ ჩემზედაც ნურას უკაცრავად, არაფერს გაგატანთ. რაში, რის გულისათვის? თუ მაგაზედ მიდგა საქმე, ჩემო ტარიელ, და შემომედავეთ ხოსიას-ღელეს, თქვენ რომ არ გაჩუქოთ, გლეხებს ვაჩუქებთ ბარემც, ის მირჩევნია. მაშ!

ტარიელ. არ მესმის! ვინ მოგანიჭათ უფლება, სხვისი საკუთრება გააჩუქოთ?

ვახტანგ. მაგას, ყმაწვილო, თქვენ არ დაგეკითხებით, მაქვს უფლება, თუ არა. მაგისთანა კილოთი ლაპარაკს არ გახლავარ ჩვეული. ერთი ორად მაინც ვიქნები თქვენზედ უფროსი და უმორჩილესად გთხოვთ, რომ ისე მელაპარაკოთ, როგორც მეკადრება და შემფერის.

ტარიელ. არა, მასულელებთ რაღა, მაგრამ არც ასეთი გასულელება გამიგონია. ჩემს საკუთრებას თავისად იჩემებთ და კიდევ ამას მთხოვთ, დინჯად და დარბაისლურად მელაპარაკეო! არა, ჩემო ბატონო, მაგრე რიგიანი მეზობელი არასოდეს არ მოიქცევა! მეზობელი-კი არა, გამგლეჯი ყოფილხართ!

ვახტანგ. რაო, რა თქვით?

ელპიტე. მამა ჩემო, ახლავე გაგზავნე ხოსიას-ღელეზე მთიბავები!

ვახტანგ (ტარიელს). რაო, რა ბრძანეთ?

ელპიტე. ხოსიას-ღელე ჩვენია და არავის არ გავატან, არა, არა და არა!

ტარიელი. მაგასაც ვნახავთ! სასამართლოს წესით დაგიმტკიცებთ, თუ კაცი ვარ, რომ ჩემია!

ვახტანგ. სასამართლოს წესითო? დღესვე შეგიძლიან შეიტანო საჩივარი, მიჩივლე და რასაც გაიტან, დამაქადნე! გიცნობთ, რა შვილიც ბძანდებით. სულ მაგაზედ ხართ გადამკვდარი, არიქა, ვის და როდის ავუტეხო დავაო. მოდგმა გაქვთ მაგისთანა. მთელს ხაჭაპურიძეების გვარს და ჯილაგს საჩივარში და დავაში ამოხდა სული!

ტარიელ. ჩემს გვართან რა ხელი გაქვთ! გთხოვ, ნუ იხსენებთ უკადრისად! ხაჭაპურიძეების გვარი დიაღ პატიოსანი გვარია და ერთიც არ გამორევია, რომ ციმბირში დაკარგულიყოს პოშტის გაძარცვისათვის, როგორც თქვენი ძმის-წული დაჰკარგეს!

გრ. ვოლსკი.

(დასასრული იქნება.)

მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის-კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერ ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში მოსულია, უცხოა და არა სახლი-კაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბტონებო!... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას,—გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, —ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდაესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქედ, რაც ჩვენნი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულის შვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა თავ. ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულის ძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულის წყრომა მამულის შვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს, მე ამით ვაცხადებ ჩემმაგიერ და ჩემთა თანამოზიარეთა სახელით, რომ მამულის-შვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შევაქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

## კორესპონდენცია.

**გორი.** ყველა კუთხე საქართველოისა თითო-ოროლა სასიამოვნო ამბებს გვასმენენ საზოგადო და საქველ-მოქმედო საქმის წინ წასვლის შესახებ და ჩვენი კურთხეული გორელები-კი პირ-დაღებულნი შესცქერიან ერთი მეორეს და არავითარ საზოგადო საქმეზედ არ ჰზრუნავენ და ყურს არ იბერტყავენ.

ხშირად წაიკითხავთ ჟურნალ-გაზეთებში, ამა და იმ ადგილას წიგნთ-საცავი და სამკითხველო გახსნესო, ამა და იმ პირის მოთავეობით წარმოდგენა გაიმართა და შემოსავალი დანიშნულებისამებრ გადაეცაო, აგრეთვე ფულები შეაგროვეს დაარსებულ ფონდების სასარგებლოდაო და სხვა-და-სხვა. მაგრამ გორელები ამისთანებს, როგორც ვთქვით, ყურადღებას არ აქცევენ და არ უნდათ საზოგადო საქმის „ხარკი“ იკისრონ.

კაცმა რომ სული არ დასწვას და მართალი სთქვას, ამ ათის წლის წინად გორელებს ვერავინ უკიჟინებდა საზოგადო საქმის დაწყებაზედ, მაგრამ დაბოლოვება-კი თქენი მტერია, უკუღმართად თავდებოდა. ყველა თითოეულად რომ არ მოვიხსენიოთ და თავი არ მოვაბეზროთ პატივცემულს მკითხველებს, მოვიგონოთ გორის „დეპოს“ საქმე და მაზედ ვილაპარაკოთ, თუ როგორ დაიწყო საქმე და როგორ დაბოლოვდა.

წარმოიდგინეთ, „დეპო“ დააარსეს გორში. ვაჭრობაც ძალიან კარგი ჰქონდათ; ერთი სიტყვით, სანატრელს მდგომარეობაში იყო, თანხა ბლომად ჰქონდათ და ფული თან-და-თან ემატებოდა, მაგრამ ამოდენა ფული „ხიზილალის ბუტერბროტად“ აქციეს და იქვე შესჭამეს თითო-ოროლა ვაჟბატონებმა და როცა ანგარიში მოსთხოვა საზოგადოებამ, იმათმა რწმუნებულებმა, მაშინ პასუხად ისა სთქვეს, რომ „ქართველები ვიყავით და ფულს ვერ მოვუარეთო“ და ამნაირად დარჩა მშრალზედ დეპოში ფულების შემტანი და დეპომაც, რასაკვირველია, გამოცალიერებულ-ტარიელებულმა სული განუტევა წიაღსა შინა რუსის სასოფლო ბანკისასა, მაგრამ გორელები სასოწარკვეთილებას არ უნდა მისცემოდნენ დეპოს უბედურებისა გამო და საზოგადო საქმეზედ ხელი არ უნდა აეღოთ; მაგრამ აქაც სხვა მიზეზი გახლავთ,—ის მიზეზი, რომ გორელების უმრავლესობა ბანქოს თამაშობით ერთობა.

არა თუ ერთობიან და გასართობად თამაშობენ, არამედ მრავალ პირთ ხელობათაც გაუხდიათ და დღე და ღამე ბანქოს თამაშობაში ატარებენ, თავიანთი „კლუბიც“ დააარსეს დიდი ხანია, ესრედ-წოდებული „კლუბი მაკ-მარიკო სტეფანდურისა“ და ამ ნაირ მუდმივად დღე-და ღამე ვერსად ვერ ითამაშებენ, თუ არ იმ კერძო „კლუბში“, სადაც ბლომად არიან ხოლმე ყველა წოდებისა და სქესის წარმომადგენელნი. მაგრამ ვაი, იმისი ბრალი, თუ ვინმე გარეშე პირი ჩაივდეს ხელში ამ კლუბის წევრებმა. გასწმენდ-გაასპეტაკებენ და ცარიელს გამოისტუმრებენ. აი ამ დღეებში რა მოხდა ზემოხსენებულს კლუბში. ერთი მოსამსახურეთაგანი მიიწვიეს სიცილით „პრეფერანსისა“ და „ნარდის“ სათამაშოდ და გამოისტუმრეს თვალ-ცრემლიანი „მაკო“ და „შტოშით“ ატირებული, რომელსაც თავის ფულებს გარდა სახიფათო ფულიც წაეგო. თუმცა ამაზედ მრავალ გზის ყოფილა ლაპარაკი და უნდათ ეს კერძო კლუბი გააუქმონ, მაგრამ ვერ შეუსრულებიათ სურვილი, რადგანაც ამ კერძო „კლუბს“ ცნობილი და ღონიერი პარტიები ჰყავს წევრებად და ადვილად ვერ აგრძნობინებს კაცი და ვერ აღებინებს სამარცხვინო საქმეზედ ხელს. სასურველია, გორის პოლიცია მიაქცევდეს ყურადღებას და როგორმე აღაგმავდეს ამ „ინტელიგენტურს“ ბოროტ-მოქმედებას.

სულთი ჯახოტი.

*) საუბედუროდ ჩვენდა რუსის სასოფლო ბანკის საქმე ძალიან ცუდად მიდის. არა თუ ცუდად, არამედ სულაც აღარ არსებობს; მართალია, ჯერ არ მოსპობილა, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზედ... ხოლო წარმოება-კი დიდი ხანია მოისპო.

## მცირე შენიშვნა.

„ივერიის“ მე-101 №-ში დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წერილი „ქართველ დედისა“. პატივცემული ავტორი იწვევდა ბანკის კრებას—თანხა დავაარსოთ სტუდენტების დახმარებისათვისაო. ძლიერ სიმპატიური აზრია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მერმისს მაინც მიაქცევს ყურადღებას ბანკის საზოგადო კრება ამ მოწვევას... სხვათა შორის, პატივცემულს ავტორს მოჰყავს მაგალითი განსვენებულის მ. ბ. ხელთუფლიშვილისა. რადგანაც ავტორი სრულიად არ იცნობს განსვენებულს, ამიტომ ის სცდება და ჩვენ საჭიროდ ვცანით—ეს შეცდომა გაგვესწორებია. საქმე იმაშია, რომ მ. ხელთუფლიშვილს არასოდეს მატერიალური საშუალება არ ჰკლებია, რადგანაც შეძლებულის ოჯახის შვილი იყო; მისი ავადმყოფობის მიზეზი, როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, უნდა ვეძიოთ ჩრდილოეთის სუსხს ჰავაში. რასაკვირველია, ეს შეცდომა არაფერს არ აკლებს „ქართველ დედის“ კეთილშობილურს აზრსა და რჩევას.

ლალი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გერმანული გაზეთი „Hamburger Nachrichten“-ი, რომელიც შეადგენს თავ. ბისმარკის ორგანოს, შესახებ გერმანიის რუსეთთან მიმხრობისა სიმონოსეკის ხელშეკრულობის წინააღმდეგ ამბობს, რომ გერმანია იმავე კვალს უნდა გაჰყვეს, რომელსაც იგი დაადგა, თუ არ უნდა, რომ ორ წყალს შუა მოჰყვესო.

ჩვენ არ ვიცით, განაგრძობს ზემოხსენებული გაზეთი, უნდათ თუ არა რუსებს კორეს დაპყრობა, ხოლო გაუყინავ ნავთსადგურების დაჭერა მშვიდს ოკიანეზედ რომ მათს დიდს სურვილს შეადგენს, ამაში ეჭვი არ არისო. ამ საქმეში რუსეთი ჩვენ არ გვთხოვს საქმით დახმარებას. არც რამეს გერმანია დაჰკარგავს, თუ არ გაუწია წინააღმდეგობა რუსეთს კორეს დაპყრობაზედ. თუ შავი ზღვა არაფერს არ შეადგენს ჩვენთვის, მით უმეტეს კორე. საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის ინტერესები არა დროს არ გვაიძულებენ ჩვენ რითმე ხელი შევუშალოთ რუსეთის პოლიტიკას აღმოსავლეთს აზიაში. აი, რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ გერმანია ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მოქმედებდეს რუსეთთან ერთად აღმოსავლეთს აზიაშიო. თუ ეს არ იქნება, თუ ჩვენი პოლიტიკა ისევ ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა, მაშინ რუსეთს ჩვენ მოწინააღმდეგედ გადავაქცევთ. რაკი იაპონია მოვიმდურეთ, მით რომ რუსეთს მივემხრენით მის წინააღმდეგ; ამიტომ გერმანია უნდა გაჰყვეს იმ გზას, რა გზასაც იგი ახლა ადგას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ დიდად პატივცემულს ნიკოლოზ ბესარიონის ძეს ღოღობერიძეს, რომელმაც კეთილ ინება და მოაწყდინა აქაურ ქართველ მოსწავლეთა გუნდს ორმოც-და ათი მანეთი უნივერსიტეტში გარდასახადის შეტანის შესამსუბუქებლად.

დავშთებით მარად თქვენი პატივის მცემელნი კიევის ქართველ სტუდენტთა მონდობილებით

მალაქია ბოლქვაძე.
ალექსანდრე ბეთანიშვილი.
დავით წერეთელი და
შიო ჩიტაძე.

## შემოწირულება

თავადმა ვარლამ მიხეილის ძე ერისთავმა შემოსწირა ასკანის წიგნთ-საცავს ხუთი მანეთი; ასკანის სკოლის მოწაფეებს ხუთი მანეთი, ხოლო ამ უკანასკნელთ ეს ხუთი მანეთიც ამავე წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გადასდვეს; თავადმა ჯაბა სიკოს ძე ერისთავმა შემოსწირა სამი მანეთი; აზ. ილარიონ მგალობლიშვილმა — ერთი მანეთი. — პატივ-ცემულ შემომწირველთ უგულითადესს მადლობას ვუძღვნით.

წიგნთ-საცავის დამაარსებელი სოლომონ მჭეიშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 მაისი.

**ლონდონი**, 20 მაისი. ჯედდიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ კონსულებზედ ბედუინთა თავდასხმამ დიდად აღელვა მთელი ქალაქი. საქმე ასე მოხდა. ინგლისის კონსულმა რიჩარდსმა, ვიცე-კონსულმა რაცცაკმა (ესვევე შვედიისა და ნორვეგიის კონსული), რუსის საკონსულოს მმართველმა ბრანდტმა და საფრანგეთის კონსულის მდივანმა დ'არვილმა სალამოთი ჩვეულებრივად გაისეირნეს. იმ ადგილას, სადაც თურმე ჩამოთვლილნი პირნი სეირნობდნენ, ქალაქიდგან ნახევარ მილის მანძილზედ (მილი 7 ვერსია), უცბად დაეცნენ ბედუინები და დაუწყეს სროლა. რაცცაკი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი და ათის წამის შემდეგ მოკვდა. რიჩარდსი მძიმედ არის დაჭრილი ზურგსა და ხელში; ბრანდტს ქვეითა ყბა სულ მთლად ჩალეწილი აქვს და დ'არვილს ნახევარი ცხვირი აქვს მოგლეჯილი. ბრანდტისა და დ'არვილის მორჩენის იმედი თითქმის არა აქვთ. რაცცაკს ტანზედ ტყვიით ჭრილობის გარდა უპოვნეს კიდევ დანით დაჭრილი ადგილები. 15-დის კაცი შეიპყრეს.

ტიანძინიდგან ატყობინებენ დეპეშით „ტაიმს“-ს, რომ იაპონელნი ლიატონგის კუნძულს თავს ანებებენ. კუნძული სულ მთლად დაიცლება 10 დღის შემდეგ.

**რომი**, 19 (31) მაისს. აქაურ გაზეთების სიტყვით, სასამართლოს ბრალმდებლმა წარუდგინა სასჯულო საქმეთა მინისტრს საკასაციო პალატის გარდაწყვეტილება ჯიოლეტის საქმის შესახებ. ამბობენ, რომ სასჯულო საქმეთა მინისტრი მოსთხოვს პალატას, რათა ჯიოლეტი სისხლის სამართალში იქმნას მიცემულიო.

**ლონდონი**, 19 მაისს. დროებითის კრედიტის განხილვას გამო ჰარკორტმა სთქვა, რომ მთავრობა ჰმოქმედებდა და აწიც ჰმოქმედებს თანახმად რუსეთისა და საფრანგეთისაო. „ჩვენი პოლიტიკა იმაში-კი არ მდგომარეობს, რომ მივემხროთ ამა თუ იმ სახელმწიფოს, არამედ ჩვენ გვინდა მეგობრული კავშირი ვიქონიოთ ყველა განათლებულ სახელმწიფოებთან“.

ედვარდ გრეიმ დღეს პარლამენტში კრებაზედ გამოაცხადა, რომ ოსმალეთი აქამდის პასუხს არ იძლევა მასთან წარგზავნილის პროექტის შესახებ სომხების საქმეების გამოო. პარლამენტმა კენჭი უყარა დროებითს კრედიტს და სხდომა 10 თიბათვისათვის გადასდვა.

სტამბოლიდგან იუწყებიან: „როგორც მუშიდგან გვატყობინებენ, ოსმალეთის პოლიციამ დიდად შეურაცხჰყო საფრანგეთისა, რუსეთისა და ინგლისის ვექილნი.

როგორც ალექსანდრიიდგან იტყობინებიან, იქ მყოფ ინგლისის სამმა საომარმა ხომალდმა მიიღო ბრძანება ჯედდაში წავიდნენ. გაზ. „ტაიმს-ს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ კელუნგში მოვიდა იაპონიის ჯარი და უკვე შეუდგა საომარ ოპერაციებსაო.

23 მაისი.

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ იტყობინება: ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, რომ რუსეთის იმპერიაში ხელის მოწერით შეგროვდეს თანხა, რომლითაც უნდა დაედგას ძეგლი გამოჩენილს საფრანგეთის ხიმიკოს ლაუვაზიეს.

გარდაიცვალა დოქტორი ალექსანდრე ელისეევი გამოჩენილი მოგზაური აზიაში და აფრიკაში.

გაზ. „ნოვოსტის“ დეპეშა: ტრაპიზუნდის სომეხთა ეპისკოპოსის უფროსი აივაზიანი იძულებულ იქმნა მოეკლა თავი და მით თავი დაეხწია ოსმალეთის მთავრობის დევნისაგან. აივაზიანის ამგვარმა სიკვდილმა დიდად ააშფოთა ტრაპიზუნდის სომხობა.

**როსტოვი დონისა.** სომეხთა კათალიკოსი პეტერბურგს გაემგზავრა.

პეტერბურგის ბირჟა, 19 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 7,40 | — „ | 7,42 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა | — „ | — „ | 204¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | 101⅝ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 99½ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა | 99½ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99¾ |

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Мая 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე